# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 255 კვირა, 15 ნოემბერი 1909 წ. № 255

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიიღება განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ღამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მოკლე და მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ უკან დაბრუნებისათვის მოთხოვნილები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


სოფიო მიხეილის ასული სულხანიშვილისა, პელაგია მიხეილის ასული და მიხეილ პეტრეს ძე სარაჯიშვილი, ნინო მიხეილის ასული და ივანე ნიკოლოზის ძე მაჭავარიანი, კნ. ქეთევან მიხეილის ასული და კონსტანტინე ივანეს ძე ვაჩნაძე, ოლღა მიხეილის ასული და გიორგი ივანეს ძე ფარსადანოვი, თამარ მიხეილის ასული და ანდრია გიორგის ძე ბებურიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარ დედის და სიდედრის

**ეკატერინე გრიგოლის ასულის სულხანიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 ს. (ელისაბედის ქ. № 22), დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (3—1)

---

11 ნოემბერს ქალ. ქუთაისში გარდაიცვალა

**როზა თომას ასული ბაინდუროვისა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დისწულნი **კნ. ანნა და მარიამ სევერიანის ასულნი თუმანიშვილნი.** პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (კათოლიკეთა ქ., სახლი ბარბაროვისა), რომის კათოლიკეთა ეკლესიაში ორშაბათს, 16 ნოემბერს, დილის 10 საათზე, დაკრძალვა ამავე ეკლესიის გალავანში. (2—ნ.—2)

---

უბედურად დარჩენილი დედა **ევა დიმიტრის ასული კალპაკოვისა** გულითად მადლობას უძღვნის იმ პირთ, ვინც პატივი სცა და პირადის დასწრებით პანაშვიდებზე, დეპეშებით თუ წერილობით ანუგეშა მოულოდნელი და განუსაზღვრელს მწუხარებაში თავის საყვარელ შვილის სტუდენტის **ბ ო რ ი ს ი ს** სიკვდილის გამო. (1—544—1)

---

# მოწოდება

წელს, 18 ოქტომბერს, ღამე, დაბა სურამში, ტფილისის გუბერნიაში, **გადაიწვა მთელი უბანი** ებრაელებისა და ნაწილი სომხებისა. გადაიწვა 120 კომლი და 130 ოჯახზე მეტი უბინაოდ დარჩა—დაეწვათ საკვები, ტანთსაცმელი და მთელი ავლადიდება. ცეცხლმა შთანთქა აგრეთვე სამი სამლოცველო სახლი და ორი სკოლა ებრაელებისა

მოწყალე ადამიანებო! მოგმართავთ გადამწვართა სახელით: მოხედეთ ჩვენ უნუგეშო მდგომარეობას და გაიღეთ წვლილი უბედურთა დასახმარებლად. აღარა გვაქვს სალოცავი სახლი, თავშესაფარი ბინა, ტანთსაცმელი, ბავშვებისთვის სკოლა, საჭმელი—ყველაფერი ცეცხლმა შთანთქა.

ყოველი შემოწირულება მიიღება დიდის მადლობით. შემოწირულება უნდა გამოიგზავნოს დ. სურამში დაზარალებულთათვის ფულის შემკრებ კომიტეტის სახელზე. (7—უ—1)

---

კვირას, 15 ნოემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში (ფრეილინის ქუჩა) დანიშნულია სახალხო წარმოდგენების გამმართველ

## წრის საგანგებო კრება

**კრების განსახილველი საგნები:**

1. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა; 2 გამგეობის წევრთა დამატებითი არჩევნები; 3. ახალ წევრების მიღება და 4 წრის მოქმედება. (1—1)

---

**წარმოდგენა № 15.** ## ქართული თეატრი **წარმოდგენა № 15.**

კვირას, 15 ნოემბერს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა პ. ალიქსიშვილისა (პ. გოთუასი) განმათავისუფლებელ მოძრაობიდან საქართველოში

## „პარტიის კაცი?!."

ხცენებში 4 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარამძე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამმელი, დ. მგალობლიშვილი, კ. მესხი, ვ. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე; ი. ქივიძე, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეებისათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „სამეგრელოს მთავარი ლევან", „გიორგი მესამე", „ქოჩრიანი ტოროლა".

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**სოზოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—39)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—206)

---

# სავაჭრო სახლი

## კირაკოზოვისა და ოგანოვისა

მყიდველების გულისათვის გავაღე მაღაზია მიხეილის პროსპექტსა და კიროჩნის ქუჩის კუთხეში, გერმანელების ეკლესიის პირდაპირ.

მაღაზიაში იყიდება ყოველნაირი ახალ მოდის სამანუფაქტურო საქონელი: აბრეშუმეული, შალეული, მაუდი. ტილო და ბამბეული რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებისა. ქალების ზედატანისათვის იყიდება პლიუში, წავი, ბატკანი, ფურმის მატერიები და მაუდი. არის საქონელი ყველა დაწესებულებისა და სასწავლებლისათვის.

**აფიცრებისათვის** არის ყოველ გვარი **დრაფი, კასტორი, დიაგანალი** სხვა და სხვა ფერისა, პლუში,, ხავერდი, ველფეტი, პანიმირუარი სხვა და სხვა ფერისა და ფასისა იყიდება აგრეთვე ხალიჩები, ოთახებში დასაფენი ბილეკები, წამოსასხამები (პლედი), საბნები, წამოსასხამი შალები, გარდინის ტიული, შტორები ტიულისა და მრავალი სხვა საქონელი.

**მეტად იაფად და შეუვაჭრებლად.**

ქალაქ გარედ მცხოვრებთ ეგზავნებათ ნიმუშები. (2—გაჟ—1)

---

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.
**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
**ი. ეგიაზაროვი**—ნერ და შინ. 11—12 ს
**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფ ლება მესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—60)

---

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრ დ. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—44)

---

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ზალ.—61)

---

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

---

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—47)

---

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 ყოფილი კირპიჩნაია). (0—53)

---

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—107)

---

**ექიმი ვასილ წერეთელი ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მისე ქიქოძის სახლი. (0—უ.—49)

---

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—296)

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მცხეთის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

---

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—33.—105)

---

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

---

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.
**თეთრაძე**—სიფ, ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5
**იოხელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ, პარას., კვირა 11—12 საათ.
**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ჩუდნოვსკი**—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ნოვიცკი**— ებ., ქალ., ყოველდღე 1—2
**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.
**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—ნ.—116)

---

**ექიმი ბ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს. მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—49)

---

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

---

**◀ ვექილოგ დაცვას ▶**

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრების განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, საპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, გალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—ნ.—4)

---

## მისტროვის სამზარეულო სკოლა

ოლგას ქ. N 6, რაზგონნი ფოსტასთან. მეორე ჯგუფისთვის მიიღება მოწაფეები (ვაჟი და ქალი). პირველ გამთავებლებისთვის (ვიპუსკის) საეგზამენო სადილი გაიმართება 21 ნოემბერს. (1—1922—1)

---

## გამოვიდა „მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა"

**ბოგდანოვისა.**

ტფილისელ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ხვალიდან (16 ნოემბერს). ვთხოვთ აგენტებს წიგნები ჩაიბარონ. მაგდალინა იმნაძის, კრაწ—შვილისა და ა—ლას გაყიდული კვიტანციები ვისაც აქვს წიგნებს მიიღებენ წიგნის მაღაზია „ალიონში". პროვინციებშიაც საჩქაროდ გაეგზავნებათ წიგნები აგენტებს და ხელის მომწერლებს. ამ წიგნის შესახებ 7ოველივე მიწერ-მოწერა უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Кирочная ул. № 9. Василію Гадилія.

წიგნების გამ. ამხ. „ალიონის" გამგე **ვ. გადილია.** (1—6—1)

---

**29 ნოემბერს 1909 წ.**

გამოვა ქართულ ენაზე იუმორისტიული და ლიტერატურული ალმანახი

## „დიპლიპიტო"

კარიკატურებით და სურათებით, ალმანახი დაბეჭდილი იქნება ფერადის სურათებით. ეღირება ყველგან ორ შაურად.

საჭიროა პროვინციიდან სანდო კორესპონდენტები, მასალის გამოგზავნა შეიძლება ახლავე შემდეგის ადრესით: Тифлисъ ред. „Закавказье" Э. Д. Горделадзе. მასალა, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული ფასი, ჩაითვლება უფასოდ. (3—2)

---

**გამოვიდა გასასყიდად**

გრიგოლ ჩარკვიანის მიერ შედგენილი და „სორაპნის" ამხ. გამოცემული




ქართველთათვის, სომეხთათვის, კათოლიკეთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.

კალენდარში მოთავსებულია მრავალი სურათი და კარიკატურა. ფასი 40 კაპ. ვინც ერთად ბევრს იყიდის, მას პროცენტები დაეთმობა.

ადრესი: Типографія „Сорапань". Гачечиладзе. (15—4)

---

## მებაღეობა ძმ. ავსარქისოვებისა

იყიდება ხეხილის ხეები საუკეთესო საზღვარ-გარეულ და ადგილობრივ ჯიშებისა. არის აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. კატალოგი ეგზავნება ყველას უფასოდ პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ადრესი: Ст. Скра Закавк. К. Жел. Дороги, (15—დ—6)

---

## იყიდება

იაფად **საავარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყით და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოლოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—ნ.—44)

---

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი
გლეხთა ამხანაგობა
„კახეთი"
Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноградовладѣльцевъ
„Кахетія"

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა სახაჭაპურო მაღაზიებში და სასმელების დუქნებში.
10 ბოთლს ზევით ეგზავნებათ ჩვენის ხარჯით თბილისში.
По такой этикетѣ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.
Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.
Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодалову.

Русская улица домъ Церковный № 7. Устав. утвержд. въ 1907 г. (100—6—15)

---

## დასავლეთ საქართველოს დამშევის შესახებ

(მცირე შენიშვნა)

დაიწყო თუ არა ზაფხულის სიცხეები, დასავლეთ საქართველოში მაშინვე შენიშნეს ცუდი მოსავლის მოახლოვება. იმედი მხოლოდ მეტეოროლოგიურ მოვლენაზე იყო დამყარებული, რაიც, საუბედუროდ, ისე ულმობელი გამოდგა როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ბევრ კუთხისათვის. მიწის მეურნეთა შორის დაიწყო გოდება, ძრწოდნენ საშინელ შიმშილის მოლოდინში, პროვინციალურ ცხოვრების მეთვალყურე კორესპონდენტები ხან გამოშვებით გვაწვდიდნენ საქმის არა სასიამოვნო გარამოებას. გაიმართა ქუთაისის გუბერნიის სოფლის მეურნეთა გამოფენაც და იქ თავმოყრილმა მეურნეებმა გადაგვიშალეს უნუგეშო სურათი დასავლეთ საქართველოს მდგომარე წლის მოუსავლობისა (ამის შესახებ იხ. „დროება", № 221, მოწინავე წერილი).

ვიცოდით, რომ შიმშილი ახლოვდებოდა, ვიცოდით, რომ ისედაც ილოჯ გამოლეულ და ნივთიერად გაფცქვნილ გლეხკაცობას ახალი უბედურება ადგებოდა კარზე... მაგრამ მოსავლის ნამდვილი ვითარება, მოსავლის ოლმნუსხველი სტატისტიკური ცნობები ხელთ არა გვქონდა. რომ მოსავლის ავ-კარგიანობაზე ვილაპარაკოთ, საკმაო არ არის მარტო სიტყვები. დღეს კეთილ სინდისიერ მოწამესაც არა აქვს გასავალი. საჭირო იყო სტატისტიკური ცნობები, ის ცნობები, რომელნიც ჩვენს მდგომარეობას ყველა სიტყვებზე უკეთ დაგვისურათხატებს.

დღეს სტატისტიკის საქმე რუსეთში ოფიციალურ დაწესებულების ხელშია. ჩვენ მოუთმენლათ მოველოდით ამ უკანასკნელის ცნობებს

და აი გამოვიდა კიდეც მიწათ-მოქმედების მოავარ-სამმართველოს მესამე „ვიპუსკი“: „1909 годъ, въ сельско-хозяйственномъ отношеніи, по отвѣтамъ, полученнымъ отъ хозяевъ“, რომელიც ეხება სრულიად რუსეთის პურის მოსავალს 1909 წელს და, სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოს მოსავალსაც. სტატისტიკურ მასალების ეს კრებული მე ჯერ გურიაში ყოფნის დროს მივიღე; გაცნობილი რუსეთის 1908 წლის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობასთან, მე წინდაწინ განზრახულ მიზნით გავხსენი კრებულის ფურცლები და თვალ წინ გადამეშალა 1909 წლის არაჩვეულებრივი პურის მოსავალი რუსეთში... გადავშალე მე-69-70 გვერდები, სადაც ქუთაისის გუბერნიის მოსავალზეა ლაპარაკი და ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა. აი, რას გვეუბნება ეს ცნობა: შემოდგომის ნათესი (озимые хлѣба), რომელიც ასე ნაკლებია დასავლეთ საქართველოში, საკმაოდ კარგი მოსულა („вполнѣ удовлетворительно“). ყოველ დესეტინაზე მოსულა ფუთი ხორბალი:

| მაზრები, | ქვავი | საშუალ. | შემოდ. ნათ. |
|---|---|---|---|
| რაჭისა | — | — | 40 |
| ზუგდიდისა | 30-60 | (45) | 30-60 |
| ლეჩხუმისა | — | — | 40 |
| სენაკისა | 40 | 60 | 40-90 |
| ოზურგეთისა | | — | 35-35 |
| ქუთაისისა | — | 37 | 20-30 |

გაზაფხულის ნათესი? მართალია,—აღნუსხავს ოფიციალური ცნობა:—ივნისის ს ცხელებმა ზიანი მიაყენეს გაზაფხულის ნათეს, (яровые хлѣба), მაგრამ მიუხედავად ამისა, საშუალო მოსავალი მაინც მოსალოდნელია ცოტათი ცუდია ქერის მოსავალი. სიმინდი კი უმეტეს შემთხვევაში კარგს მოსავალს გვპირდებოდა (გვ. 69—70).

კითხულობ ამას და გიკვირს, ნუ თუ ეს მართალია? ნუ თუ მართლა შემოდგომის ნათესმა კარგი მოსავლით დაგვაჯილოვა და გაზაფხულისამ—გვარიანის, ხოლო კერძოდ მოსავალი სიმინდისა, რომელსაც ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოში, კარგია? ხალხი, ოვით მიწის მუშაკნი, მცხოვრებთან ახლო მდგომი მეთვალ-ყურე კორესპონდენტები და ყველა ჩვენგანის ნანახი სულ წინააღმდეგს გვიმტკიცებენ. აქ საინტერესოა ამ განსხვავების ძირითადი მიზეზი. ძალის თავთ სტატისტიკურ საქმის დეზორგანიზაციაში, ანუ, უკეთ, სტატისტიკის უყურადღებოდ მიტოვებაში მარხია. რუსეთში ყველაფერი ცუდათაა მოწყობილი. ცუდათაა აგრეთვე სტატისტიკის საქმეც. კავკასიაში სტატისტიკურ ცნობებს კრებავს ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი. ვინ აწვდიან ამ კომიტეტს მასალას? საზოგადოება? შესაფერი დაწესებულებანი? სპეციალურად სტატისტიკურ საქმეში გაწვრთნილ-დაინტერესებული პირნი — კორესპონდენტნი? არა, მკითხველო. მთელ საქმეს „აწარმოვებს“, ანუ მასალებს წყაროდ გამოდის სოფლის საზოგადოების სამმართველო, კანცელარია. მასალას ჰკრებენ სოფლის მწერლები, ის მწერლები, რომელთაც სტატისტიკისა ისე არა გაეგებათ-რა, როგორც ჩვენ ჩინური ენისა. აი ეს მწერლები დაუძახებენ ხოლმე ორს ან სამს შეძლებულ გლეხს, შეეკითხებიან, რამდენი დესეტინა მიწა იქნება დათესილიო, რა მოსავალია მოსალოდნელიო, და ბოლოს პოლიციის კანცელარიების დავთრებში აღიბეჭდება: „все благополучно“-ო. უვიცი მწერალია ჩვენი მთავრობის, ჩვენი სტატისტიკურ კომიტეტის ის წყარო, რომელიც გვაუწყებს, წელს დასავლეთ საქართველოში კარგი მოსავალიაო!

სტატისტიკური ცნობების შეკრებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. თუ გვინდა ვიცოდეთ ჩვენი მდგომარეობა, თუ გვსდა ვიცოდეთ, რა ყოფაში ვართ, რა მოგველის, უნდა ამ საქმეს მოვკიდოთ ხელი. იგი დაგვანახვებს საქმის ნამდვილ ვითარებას.

ჩვენ საერთოდ შინაურ საქმეებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. თეორიაში ყველანი მაღალ ფარდებში დავნავარდობთ, ვბჭობთ ეკონომიკაზე, ეკონომიურ პოლიტიკის გავლენაზე. უჩვეულ თეორიულ მაგალითებით ვასაბუთებთ, რომ ერის, ხალხის, საზოგადოების ყველა სოციალურ ელემენტის კეთილდღეობა დამოკიდებულია სოციალ-ეკონომიურ წარმატებაზე, ხოლო პრაქტიკულად, კონკრეტიულად არაფერს ვაკეთებთ. რის გაკეთება შეგვიძლიან,—გვეტყვიან—როცა არსებული სოციალ-პოლიტიკური პირობები ყოველ ინიციატივას, ყოველ ასეთ საქმეს წიაღში ჰკლავენ, როცა გასაქანი არა აქვს ხალხის ნიჭს, იმის შემოქმედებას და სხვა და სხვა. ეს მართალი საყვედურია, მაგრამ სავსებით კი არა. ვთქვათ არ შეგვიძლიან პრაქტიკული მუშაობა, არ შეგვიძლიან ამა თუ იმ სასურველ მოვლენას ხორცი შევსხათ, მაგრამ შემუშავებული გვაქვს თუ არა რამე თეორიულად? ვიბრძვით თუ არა კონკრეტიულ პროგრამით ამა თუ იმ უმახლობელს მიზნის, განსახორციელებლად? ბევრს ვლაპარაკობთ საერთო პოლიტიკაზე, მთელ ექსკურსიას ვმართავთ აბსტრაქციის და გამოურკვეველ ზესთანოუმენესა თუ ფაქტიების მორევში, ხოლო რა უნდა ჰქმნას ჩვენმა გლეხმა, მუშამ, რა ეშველება ჩვენს ეკონომიურ სიღუმლურეს და სხვა—ამ საკითხებს თეორიულადაც არ ვარკვევთ. განა ვიცით ჩვენ მწარმოებელ ძალთა ნამდვილი მდგომარეობა? ვიცით, რა ყოფაშია ჩაყენებული ჩვენი ტეხნიკური საწარმოვო იარაღი? ვიცით, რა კულტურას უნდა მივყოთ ხელი, რა მოვა ჩვენს მიწაზე? ვიცით, რამდენად მდიდარია დღეს უყურადღებოდ დატოვებული ჩვენი ქვეყნის მიწა-ადგილები? ვიცით რას ვიხდით ჩვენ? ვიცით, გლეხის ბიუჯეტთან შედარებით რა წარმოუდგენელია გლეხის ჩვეულებრივი თუ არა ჩვეულებრივი. გასავალი? გამოვარკვიეთ, რა ნაირ ფინანსურ პოლიტიკას უნდა მივყოთ ხელი? გადასახადების, რომელ სისტემას უნდა მივმართოთ? ხალხის გათვითცნობიერებისათვის რა სწავლაა საჭირო? და სხვა და სხვა. ყველა ამ კითხვაზე ჩვენ „ყველაფერი“ გვაქვს ნათქვამი საერთოდ, აბსტრაქტულ თეორიაში, ხოლო კონკრეტიულად—სრულიად არაფერი!

წლევანდელ მოუსავლობას გამოყური გაუზერტყვით ქუთაისის სამეურნეო გამოფენის მესვეურთ და სათანადო რეზოლიუცია გამოუტანიათ. აღსანიშნავია, რომ ეს რეზოლიუცია (იხ. „დროება“ № 221) მეტად სუსტია. მეტის-მეტად პოლიტიკურ ზომებით ფიქრობენ ჩვენის კეთილდღეობის აღდგენას. შეიძლება გვითხრან: ამ რეზოლიუციებსაც არავინ მიაქცევს ყურადღებასაო. მაგრამ ეს პასუხი არ არის. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა მდგომარეობაში ვართ და აქედან რომ უკეთეს მომავლისაკენ წავიდეთ, რაა საჭირო. სტიქიონს ხომ ვერ მივენდობით? ხალხურ მოთხოვნილებას თვით ხალხმა უნდა მიაქციოს ყურადღება, ხალხის ხმა უნდა უკარნახებდეს პოლიტიკის მატარებელ სახელმწიფოს... თუ ძლიერია ხალხის ხმა, ძლიერი და საფუძვლიანი იქნება მოთხოვნილებაც. ჩვენ კი მოთხოვნილების შემუშავებაც არ ვიცით!

ამ ჟამად რუსეთში მსხვილი ბურჟუაზია და ვითომდა გამოცოცხლებული ბიუროკრატიული მთავრობა რუსეთის ეკონომიურ აღდგენაზე მუშაობენ. მაგალითისათვის მოვიგონოთ კრებების მთელი რიგი კრივოშეინის თავმჯდომარეობით, სადაც დიდ ყურადღებას აქცევენ რუსეთის მოსავლის რეალიზაციას. ბურჟუაზია გაჰკივს შინაურ ბაზრის უქონლობას, ბიუროკრატიაც ვითომ ანგარიშს უწევს ბურჟუაზიის ყიჟინას და საჭიროდა სცნობს ხალხის მომხმარებლობით ძალის გაუმჯობესებას. ამისათვის აარსებენ სპეციალურ ბანკებს(?), სახელმწიფო ბანკიდან ნაკლებ პროცენტით იძლევიან სესხს, რომ უცხო ქვეყნების სპეკულიანტებმა დაბალ ფასში არ შეიძინონ ხალხის სიმდიდრე; მინისტრი რუხლოვი რკინის გზით დახმარებას უწევს ტრანსპორტს, პურის გადატან გადმოტანს და სხ. და სხ., ერთის სიტყვით „საქმიანობენ“... ჩვენ კი სარეალიზაციო არაფერი გვაქვს. ჩვენი ყურადღება ქუთაისის გამოფენაზე მიღებულს რეზოლიუციებს გარდა, უნდა მიექცეს აგრეთვე ჩვენ მწარმოებელ ძალთა მდგომარეობას, ტეხნიკურ ავლა-დიდებას, გადასახადების მთელ სისტემის შეცვლას, სწავლა-განათლებას და სხვ. ნუ დაივიწყებთ, რომ სანამ ასეთი სოციალური ნიადაგი გვექნება, სანამ ხალხი პრიმიტიულ საწარმოო იარაღით იქნება შეიარაღებული, სანამ მელიორაციის, სიცხეების დროს ადგილებს ხელოვნურად მორწყვის ნაცვლად ჩვენის ოფლით მონაგარ გროშებით ცხვრებს ვყიდით და უდაბურ ადგილას მსხვერპლად შევწირავთ იმ იმედით, რომ წვიმა მოვიდესო, სანამ ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ვიქნებით, მანამ ჩვენი მდგომარეობა არ გამოკეთდება და, როგორც დღეს, ყოველგვარ მეტეოროლოგიურ მოვლენის მონანი ვიქნებით.

ჩვენ ჩვენი თავი რუსეთის სხვა ერებზე უფრო კულტურულად მოგვაქვს. რომ არ შევედაროთ პოლონეთს, ფინლიანდიას, თვით რუსებიც ბევრში გვჯობნიან. რუსის გლეხი სადაა მიატოვებს ძველ სახნისს. ზოგგან კიდეც შეიძინეს ორთქლის სახნისი „მოსეგარისა“, რომლითაც კაცი დამჯდარი და სვენებული მუშაობს, ჩვენ კი ხის სახნისით ხელში ვეწევით მძიმე უღელს და შემდეგ გაჭირვებაზე ვლაპარაკობთ.

სანამ ყოველსავე ამას სათანადო ყურადღებას არ მივაქცევთ, სანამ ხალხის მწარმოებელი ძალები და სხ. სათანადო მდგომარეობაში არ იქნება ჩაყენებული, წლევანდელი მოუსავლობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცევა და ხალხი მუდამ გაჭირვებული იქნება.

**თევდ. ღლონტი**

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ ერთი კვირის წინად „მათრახსა და სალამურ“-ში და „ტიფ ლისტ.“-ში დაიბეჭდა პატარა შენიშვნები ჩვენის თანამშრომლის ა. შანშიაშვილის შესახებ. შანშიაშვილს სწამებდნენ ლიტერატურულ პლაგიატორობას. ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ დრამატიული პოემა „ოცნების მხარეს“, რომელიც ამას წინად დაიბეჭდა ჩვენ გაზეთში. აი, სწორედ ამ პოემაზე ამბობდნენ ეს გაზეთები, პოეტის როსტანის „პრინცესა გრიოზა“-დან მოიპარა შანშიაშვილმაო. ჩვენ მაშინ ხმა არ ამოვიღეთ. ვფიქრობთ, ვიღაც ვაჟბატონმა, პირადის მტრობით და შურით გატაცებულმა, შეცდომაში შეიყვანა რედაქციები და, ალბად, ეს უკანასკნელნი თვითონვე გაასწორებენ შეცდომასაო. ამავე აზრით არ დავბეჭდეთ თითონ შანშიაშვილის საპასუხო წერილი.

მაგრამ, ეტყობა, ამ სიჩუმეს გაუთამამებია ეს ვაჟბატონი და ახლა ამავე შინაარსის წერილი „მოვავალშიაც“ მოუთავსებია. ქვეშ აწერს ინიციალებს „ნ. დ.“

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ა. შანშიაშვილის პოემასა და როსტანის ნაწარმოებს შორის საერთო არაფერია. ჩვენ ამის შესახებ ამ დღეებში ვრცელ წერილს დავბეჭდავთ. ეხლა კი ვიტყვით, რომ „ნ. დ.“-ს სიტყვები თავიდან-ბოლომდე ცილის-წამებაა. ამ ვაჟბატონს ორი ადგილიც მოჰყავს ორივე ნაწარმოებიდან და ვითომდა მსგავსებასაც გვიჩვენებს. აი ერთი ადგილი:

როსტანი:

Заступница несчастныхъ моряковъ,
Звѣзда морей, о, Дѣва пресвятая!
Ты разгоняешь стаи облаковъ,
Волненія и бури укрощая...
Мы подъ твою защиту отдались!
Пусть, наконецъ, какъ лебедь величавый,
Войдетъ корабль нашъ въ городъ триполисъ.

შანშიაშვილი:

ღმერთო, ღმერთო! გადმოგვხედე,
ნუ, ნუ მიგვცემ მრგვინავ ტალღებს;
შენ განაგებ წყალსა, ხმელეთს,
ცაში მნათობთ და ვარსკვლავებს.
ნუ დაგვმარხავ ზღვის უფსკრულში
მიგვაბარე ჩავს საფლავებს...

თუ აქ მსგავსებაა და ერთი-მეორიდან მოპარულად შეიძლება ჩაითვალოს, ათას ამგვარ ადგილის ამოწერა შეიძლება სხვა და სხვა ავტორის ნაწარმოებიდან, მაშ ყველა მოპარული ყოფილა?! აშკარაა, თუ ნ. დ.-მ ამაზე უფრო მეტი მსგავსება ვერსად ჰპოვა, მთელი იმისი აზრი პლაგიატორობის შესახებ სიცრუედ უნდა ჩაითვალოს.

# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა.**

13 ნოემბერს სათათბირომ, როგორც იყო, დაამთავრა კამათი ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის პროექტის შესახებ. მეჩვიდმეტე სხდომაზე ორიოდე ორატორმა ილაპარაკა მხოლოდ. მემარჯვენეებმა კვლავ შეიტანეს განცხადება: რადგან ეს პროექტი მავნებლია რუსეთისთვის, იგი ისევ კომისიას გადაეცეს ხელ-ახლად შესამუშავებლადო. ეს განცხადება სათათბირომ უარჰყო.

სათათბირომ, მემარჯვენეთა წინააღმდეგ, დადგინა, შეუდგეს პროექტის მუხლობრივ განხილვას. ამასთან სათათბირომ უარ-ჰყო პროგრესისტების ფორმულა, რომ სასამართლოს რეფორმა გავრცელდეს ციმბირსა და არხანგელსკის გუბერნიებზედაც (კავკასია სულ არ უხსენებიათ).

**პიროვნების ხელ-უხლებლობა.**

ამის შემდეგ სათათბიროს მოხსენდა კანონ-პროექტი პიროვნების ხელ-უხლებლობის შესახებ.

რამდენი წელიწადია რუსეთი მოუთმენლად ელის კანონს პიროვნების ხელუხლებლობის შესახებ, მაგრამ, როგორც მრავალი სხვა, რამ რუსეთში ეს მოლოდინი მოლოდინად რჩება. ხელუხლებლობის კანონ-პროექტი დამზადებული იყო როგორც პირველ, ისე მეორე სათათბიროსთვის, მაგრამ განხორციელებას ვერ ეღირსა.

მესამე სათათბიროში ამ კანონ-პროექტის მომხსენებლად გამოვიდა უკიდურესი მემარჯვენე ზამისლოვსკი. ეს გარემოებაც ნათლად მოწმობს, რა თვისების იქნება კანონ-პროექტი. იგი რომ მართლა შეიცავდეს რამე თვისებას, თვითონ ზამისლოვსკი არ იკისრებდა მომხსენებლის როლს. მართლაც, როგორც მომხსენებელმა განაცხადა, კანონ-პროექტი არსებითად განსხვავდება იმ პროექტებისაგან, რომელიც პირველმა სათათბიროებმა შეიმუშავეს. პროექტში არავითარი გარანტია არ არის ამისა, რომ ადმინისტრაცია არ დაარღვევს ამ კანონს. კანონი გაუქმდება იქ, სადაც საგანგებო წესები იქნება შემოღებული. პოლიტიკურ დამნაშავეებს კანონი არ ეხება და სხვა. მთელი პროექტი, მგონი, მარტო იმისაგან შესდგება, რომ კანონთა კრებულში გაფანტული სხვა და სხვა მუხლები პიროვნების ხელ-უხლებლობის შესახებ ამოუკრებიათ და ერთად მოუთავსებიათ.

მემარცხენე დეპუტატებმა პირველ სხდომაზე გაჰკიცხეს ეს კანონ-პროექტი და მისი შემდგენელნი.

**მაკლაკოვი** (კადეტი). კანონი ხელ-უხლებლობის შესახებ ასრულება მანიფესტისა, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომებს ნამდვილ ხელ-უხლებლობას ჰპირდებოდა. ამიტომ უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარანტიებს, რომელთაც უზრუნველ უნდა ჰყონ კანონი. ყველამ ვიცით, რომ რუსეთის უბედურება იმაში კი არ არის, რომ ჩვენში ცუდი კანონებია. არამედ იმაში, რომ უკანონო მართვა გამეფებაა. უამ კანონპროექტოდაც რუსეთის კანონ-მდებლობაში მრავალი მუხლია, რომელიც თხოულობს პიროვნების ხელ-უხლებლობას, მაგრამ ამ მუხლებს და კანონებს ან გვერდს უხვევდნენ ან ფეხ ქვეშ სთელავდნენ. მაშ რა გარანტიაა, რომ ახალ კანონსაც ასე არ მოექცევიან მთავრობა და მისი აგენტები? ამას გარდა, ახალ კანონ-პროექტში ერთი მუხლია, რომელიც ამბობს, რომ იგი პოლიტიკურ დამნაშავეებს არ ეხებაო. მაშასადამე, პოლიტიკურ დამნაშავეთათვის პიროვნების თავისუფლება არ იქნება. ეს მუხლი ფართო გზას უხსნის წინანდელ თვით-ნებობასო. ორატორის აზრით, გარანტიას უნდა შეადგენდეს პასუხის-მგებლობა სასამართლოს წინაშე, რაც ახალ კანონ-პროექტში არ არის შეტანილი. ეს პროექტი,—სთქვა ბოლოს მაკლაკოვმა,—მარტო ცუდი კანონი კი არ არის, იგი უდიდესი შეურაცხყოფაა მთელი რუსის ხალხისა (ტაში ცენტრსა და მარცხნივ).

**გეგეჭკორი** (ს.-დემოკრატი). რუსეთის ცხოვრების დამახასიათებელი ის არის, რომ ფეხით ითელება პიროვნების უფლება და ღირსება იმ დროს, როცა მცირე ჯგუფი გაბატონებულ კლასებისა უხვად სარგებლობს პიროვნების და სხვა თავისუფლებით, მთელი დანარჩენი რუსეთი მოკლებულია ადამიანის ელემენტალურ უფლებებსა და თავისუფლებებს. ჩვენ, სოც.-დემოკრატები, არასოდეს არა ვყოფილვართ გატაცებულნი კონსტიტუციონალურ ილიუზიებით და ეხლაც ვამბობთ, რომ არც ერთი თავისუფლება რუსეთისათვის არ არის. ჩაუკვირდით, ვისკენ არის მიმართული რეპრესიული ზომები. განა კრების თავისუფლება აკრძალული აქვს „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირს, ამ საზოგადოებრიობის მავნე მუწუკს, ბოროტ-მოქმედ ორგანიზაციას? ნამდვილი ხელუხლებლობა პიროვნებისა პოლიტიკური სიკვდილი იქნება მემარჯვენეთათვისაო. შემდეგ ორატორი შეეხო მიერ მემარჯვენეთ და ოქტომბრისტებს. პირველნი არაფრით არ განსხვავდებიან მემარჯვენეთაგან, ხოლო მეორენი, რომელნიც თავიანთ თავს კონსტიტუციონალისტებად გვაცნობენ, იმის მეტს არაფერს აკეთებენ, რომ ხელს უწყობენ ანტი-კონსტიტუციონალურ პოლიტიკას. პიროვნების ხელუხლებლობა იმ გვარ საზოგადოებრივ უფლებას ეკუთვნის, რომელსაც ნება-უფლებით კი არ იძლევიან გაბატონებული კლასები, არამედ ძალით ჰგლეჯავს მათ ხელიდან ხალხი, და ჩვენც პიროვნების ხელ-უხლებლობას მოგვიტანს რუსეთის მეორე დიდი რევოლიუცია.

მემარჯვენე **შულგინმა** ნამდვილი იეზუიტური სიტყვა წარმოსთქვა. მან თითქოს მხარიც დაუჭირა ხელ-უხლებლობის შესახებ პროექტს, ნამდვილად კი მოითხოვა სასტიკ ზომებს უფრო გაძლიერება. ეხლანდელი სასამართლო ლმობიერად იქცევა; საჭიროა მეტი სისასტიკე. ეხლანდელი საპყრობილე მშვენიერი საცხოვრებელი და დროს გასატარებელია, საჭიროა ნამდვილი „საპყრობილეო“. პოლიციაც დაუდევარი და ლმობიერია, საჭიროა რეფორმა პოლიციისა, რომ უფრო სასტიკად იქცეოდესო და სხვა.

პროგრესისტმა **სოკოლოვმაც** აღნიშნა კანონ-პროექტის უვარგისობა. სიტყვა წარმოსთქვა კიდევ თ. ვ. ტენიშევმა, რომელიც იცავდა პროექტს. ამით გათავდა სხდომა.

ეს კანონ-პროექტი, თქმა არ უნდა, დიდ ინტერესს იწვევს. უკვე ჩაეწერა 77 ორატორი.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან.

14 ნოემბერი.

**საზღვარ-გარედ**

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ათინიდან ატყობინებენ, კაბინეტის მდგომარეობა თანდათან კრიტიკული ხდებაო. სამხედრო კავშირი გადაჭრით თხოულობს მოხელეთა გამოცვლას.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატაში ბალფურმა სიტყვა წარმოსთქვა და საფინანსო კანონ-პროექტის ზოგიერთა მუხლი დაიწუნა. ამავე დროს ბალფურმა გააფრთხილა ლორდები, ნუ მოიქცევიან თავიანთ ინტერესების წინააღმდეგ და ქვეყნისაც. სადამოზე ლორდთა პალატის წინ ნაალმდევ გაიმართა მანიფესტაცია: 6000 კაცი გაემართა პარლამენტისაკენ [illegible] პოლიტიკური [illegible]. მანიფესტანტები პოლიციამ გაჰფანტა, თუმცა მანიფესტანტები შეეცადნენ პარლამენტს გარშემო შემოვლებულ პოლიციელთა წრის გაწყვეტას—მაგრამ ამაოდ.

რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ პეკინიდან, მთავრობამ გამოსცა ბრძანება სატახტო ქალაქისა და პროვინციელ მოხელეთა მიმართ და დაავალა უნაკლულოდ შეასრულონ ყველაფერი, რაც შეეხება კონსტიტუციონურ დაწესებულებათა განახლებულ ვადაში შემოღებას. ამ ბრძანებას მიზნად აქვს დაარწმუნოს ხალხი, რომ რეგენტი მოწადინებულია განსვენებულ იმპერატორის დაპირება განახორციელოს.

**ბრიუსელი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონპროექტი ჯარში სამსახურის ვადის შემცირებაზე—ქვეითა ჯარში სამსახური 15 თვემდე იქნება, ცხენოსანთა ჯარში 4 წლიწადი.

**სტამბოლი.** ბოლგარიის ელჩმა ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი და განუცხადა, რომ ბოლგარიის [illegible] თავ[illegible] დიდად ეფასება [illegible] ოსმალეთთან შეგობრობას და სწუხს, რომ მალინოვისა და პოპრიკოვის სიტყვებს სხვა აზრი მიაწერეს. ორატორების მიზანი იყო გულწრფელი დამოკიდებულება განემტკიცებინათ. ამბობენ მინისტრთა საბჭო სრულიად დაკმაყოფილებულია ამ განმარტებითო. ოსმალეთის მთავრობას წრეებში ინციდენტი გამორკვეულად მიაჩნიათ.

**პარიზი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯ აღრიცხვის განხილვის დროს დეპუტატთა პალატამ მიიღო მუხლი საიდუმლო ფონდების შესახებ. კენჭის ყრის დროს ბრიანმა დასვა საკითხი სამინისტროს ნდობის გამოცხადების შესახებ. პალატამ 364 ხმით, წინააღმდეგ 125 ხმისა, ნდობა გამოუცხადა სამინისტროს. ხარჯთ-აღრიცხვის ყველა მუხლები მიიღეს.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** უცხოეთის გაზეთებში დაიბეჭდა ცნობები, ვითომ რუსეთის მთავრობას მოლაპარაკება ჰქონდეს გამართული ამერიკელ კაპიტალისტებთან ამურის რკინის-გზისა და ციმბირის გზის მეორე ლიანდაგის გაყვანის შესახებ. ცნობების მიმწოდებელმა მთავრობის ბიურომ გამოაცხადა, რომ ეს ხმები ყოვლად საფუძველს მოკლებულია: არავითარი მოლაპარაკება ხსენებულ რკინის გზების გამო არა ყოფილა ამერიკელ კაპიტალისტებთან და ამის გამო არც რაიმე წინადადება მიუღია მთავრობას ამერიკელ კაპიტალისტთაგან.

ოპოზიციამ შეიტანა სათათბიროში წინადადება, რომ ქალებსაც უფლება მიენიჭოთ სასამართლოებში მომჩივან-მოპასუხეთა ინტერესები დაიცვან.

**ნოვოჩერკასკი.** გუშინდელ მატარებლის დაჯახების დროს დაიჭრა და საავადმყოფოში გაგზავნეს თერთმეტი კაცი. ერთი დაჭრილი უკვე გარდაიცვალა. მატარებლების მიმოსვლა განახლდა.

**პეტერბურგი.** დღის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა ორი, საავადმყოფოში იმყოფება 64 კაცი, ქალაქის ახლო უბნებში ავად არის სამი კაცი.

სენატის პირველის და საკასაციო დეპარტამენტების საერთო სხდომაზე განიხილეს იუსტიციის მინისტრის მიერ შეტანილი საკითხი ქალების სამოსამართლო დაწესებულებებში ვექილებად გამოსვლის შესახებ. საერთო კრებამ სცნო, რადგან კანონებში პირდაპირ არ არის აკრძალული ქალების ვექილებად გამოსვლა სასამართლოებში, ეს არ შეიძლება ისე ავსხნათ, რომ ქალებს უნდა ჰქონდეთ ეს უფლება. საკითხი უნდა გადაწყვიტოს საკანონმდებლო

ლო გზით. ამიტომ სენატმა გააუქმა საოლქო სასამართლოს დადგენილება, რომლითაც ფეიშიცს ნება დართეს დაეცვა საქმე.

**პეტერბურგი.** დასრულდა ვაჭრობის და მრეწველობის წარმომადგენელთა კრება. რუსეთის საზოგადო ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ კრებამ დაადგინა—სასოფლო მეურნეობის და ვაჭრობა მრეწველობის უკიდურესად დაცემის დროს სახელმწიფოს ფინანსების მდგომარეობა საკმაოდ რიგიანია და კრება აღიარებს, რომ ეხლანდელმა სახელმწიფომ თავის პოლიტიკის რიგში ქვეყნის ეკონომიურ ძალთა განვითარება წამოაყენოს სახელმწიფო ფინანსების საფუძველთა განსამტკიცებლად. კრება საჭიროდ სთვლის დაუყონებლივ იქმნას მიღებული ზომები მიწ.-მოქმედების კულტურის გასაუმჯობესებლად და მრეწველობის გასაძლიერებლად. ამ მიზნის მისაღწევად სასარგებლოდ იქნება ან თვით სახელმწიფომ, ან იმის დახმარებით სხვა დაწესებულებამ აიღოს სესხი, რომელიც ბიუჯეტის საქმისათვისაც სახიფათო არ იქნებაო.

## ხმა ბათუმიდან

„დროების“ მე-246 ნომერში მოთავსებულია „ბატ. იზვესტიას“-ს რედაქციის წერილი, რომელიც ასე იწყება: „მივიჩნიეთ საჭიროდ ბოლო მიეცეს (Trop tard, messieurs! H). ჩვენსა და ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის ზოგიერთ წარმომადგენელთა შორის დაწყებულ „ბრძოლას“ და იმ „პოლემიკას“, რომელიც გამოიწვია ამ „ბრძოლამ“, სიმართლის გამოსარკვევად ჩვენ ვცნობთ რიგიანად გადაეცეს საქმე განსახილველად არჩეულს სამსჯავროს“. სამსჯავრომ კი უნდა გაარჩიოს: „რამდენად საფუძვლიანი იყო ჩვენი გალაშქრება ბათ. ქალაქის თვით-მმართველობის ზოგიერთი *) წარმომადგენლების წინააღმდეგ და **რამდენად უღალატეთ ჩვენ პრინციპს და ტრადიციებს**“? (კურსივი ჩემია. H.) დადგენილება უნდა გამოცხადდეს გაზეთებში“.

„ბატ. იზვ.“ ალ რა ხუმრობს! იგი სამართალში იწვევს მთელ ორ ქალაქს, ვინაიდან ბათუმის თვით-მმართველობა კანონიერი წარმომადგენელია ბათუმის ქალაქისა, ხოლო ტფილისის პრესა („მომავალი“, „დროება“, „ზაკავკაზიე“), საზოგადოებრივი აზრია თითქმის მთელ ტფილისისა. აი ბიჭობაც ასეთი უნდა! სწორედ იშვიათი სანახაობაა: ერთის მხრით თავმომწონე, სიმართლის შარავანდედით გაბრწყინებული „ბატ. იზ.“ რედაქცია და მეორეს მხრით დამცირებული და შერცხვენილი ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელნი და ტფილისის პრესსა... ჭეშმარიტად თვალწარმტაცი სურათია... ცოტა დონკიხოტობა რომ არ ახლდეს!

„თვით მმართველობისა“ რა მოგახსენოთ,—იმან თავის საქმისა თითონ იცის, კერძოდ კი მე პიურვალედ „მსურს სიმართლე აღვადგინო“, მით უმეტეს, რომ ამ „პოლემიკაში“ გაკვრით მეც მივიღე მონაწილეობა. და, მაშასადამე, მომავალი „დუელი“ უჩემოდ არ უნდა გათავდეს. ხოლო, როდესაც კითხვას ჩაუფიქრდი, რამდენიმე მოსაზრება მომივიდა თავში და მსურს, ვითარცა „პრელიმინარიები“, მკითხველს გავუზიარო.

1. „სუდში“ რომ გავდივარ. უნდა ვიცოდე თუ არა, ვისთან მექნება საქმე? ვინ არის ეს „ბატ. იზ.“ რედაქცია? ბ-ნი ვ. ბერეჟიანი „დროების“ იმავე ნომერში საჯაროდ აცხადებს, გაზეთის საქმეებში არავითარ მონაწილეობას არ ვიღებდი, ფიზიკურადაც ბათუმს მოშორებული ვიყავი, და როცა ბათუმში ვიმყოფებოდი, ზარბაზნის მანძილზე არ ვეკარებოდი რედაქციასაო. მხოლოდ „ფირმა“ იყო ჩემიო. რამდენად შესაწყნარებელია ასეთი პასუხი განათლებულ კაცისაგან, ეს სხვა კითხვაა, ხოლო ბ-ნი ბერეჟიანი **წინ და წინვე** უარს ამბობს ყოველ პასუხისმგებლობაზე და პილატესავით ხელს იბანს. მაშასადამე, ბერეჟიანი ვერც თითონ გამოითხოვს ვისმეს სამართალში და ვერც არავინ მას მოსთხოვს პასუხს „პრინციპის“ და „ტრადიციების“ ღალატის შესახებ. ცხადია, „რედაქციას“, როგორც კოლლეგიას, უნდა გამოვაკლოთ ვ. ბერეჟიანი და დავრჩებით: „რედაქცია“ minus რედაქტორი.

2. რაც შეეხება პატივცემულ ალიბეის, როგორც რედაქციის წევრს, ჯერ ერთი, იმავე ბერეჟიანის მოწმობით, „მისი ვინაობა დღესაც არავინ იცის“, პოლიცია ხომ მას სრულებით ვერ იცნობდა (!) და აბა „უწყება“ როგორ უნდა ჩააბაროს? განვაგრძოთ ჩვენი ანალიზი, გამოვაკლოთ ალიბეი და შემდეგ დასკვნაზე მივალთ: „რედაქცია“ minus რედაქტორი minus ალიბეი...

მეორეც ესა, თურმე სტუდენტი ნიკოლი (ფსევდონიმია) მოწადინებული (?) ყოფილა „ალიბეი თავიდან მოეშორებინა“, რაიც იმას მოასწავებს, რომ ეს ორი პატიოსანი გვამი ერთსა და იმავე „პრინციპის“ და „ტრადიციის“ დამცველად სამსჯავროში ვერ გამოვლენ; „ჩვენება შეეშლებათ“, ამიტომ ახლავე საჭიროა ვიცოდეთ, ვისი „ტრადიცია“ მიაჩნია რედაქციას თავისად: ჯენტლმენ ნიკოლისა თუ ჯენტლმენ ალიბეისა? უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ შემდეგ ფორმულას: „რედაქცია“ minus რედაქტორი minus ნიკოლი...

3. როგორც ჰხედავთ, „ბატ. იზ.“ რედაქციის „ხილულ“ წევრთაგან დარჩა ერთად-ერთი—ბ-ნი დემურია, ეს „უმთავრესი თანამშრომელი ხელმძღვანელი“, როგორც მას ბ-ნი ვ. ბერეჟიანი უწოდებს, და ალტერნატიულად: ან ალიბეი ან ნიკოლი...

ეჭვი არ არის, ვინც მასთან ხელი ხელ გადახვეულნი დადიან და მუდამ მასთან დროს ატარებენ, კარგად იცნობენ, ვინ ბრძანდება ბ-ნი დემურია, ხოლო „დროების“ მკითხველისთვის და საზოგადოდ „ტფილისის პრესსისთვის“, რომელსაც დღეს ბ-ნი დემურია ასეთის უტიფრობით იწვევს სამართალში, საჭირო მცირე განმარტება: **ეს გახლავთ ღირსეული მოწაფე ღირსეულის პალმისა, თანამშრომელი პალმის** „Черноморскій вестникъ“-**ისა,** რომლის ფურცლებზე ხშირად შეხვდებოდით მის გვარს: „В. Демурія“. ეს ის დემურია გახლავთ, რომელიც, სხვათა შორის, („Ч. В.“-ში 1904 წ.) სწერდა: „Со времени присоединенія Мингреліи, одной изъ главныхъ заботъ русскаго правительстоа на этой окраинѣ сдѣлалась забота о народномъ образованіи, чтобы путемъ школъ и просвѣщенія массы смягчить нравы и укрѣпить гражданственность“... ყველას მოეხსენება, რაში გამოიხატა ეს „უმთავრესი ზრუნველობა“. აშორდიას წაქეზება, მუნჯური მეთოდი, მეგრულად ლოცვების შედგენა და ეროვნული პროვოკაცია, რომლის იდეიური დამცველი იყო პალმი...**) ეს ის დემურია გახლავთ, რომელიც პალმთან ერთად გამწარებული ებრძოდა „ცნობის ფურცელს“ (იხ. პოლემიკა „სიტყვასთან“).

ამ გვარად, ჩემთვის სრულიად გაუგებარია: ვინ მიწვევს სამართალში, ან ვის „პრინციპსა“ და „ტრადიციებზე“ იქნება სჯა? ზემოდ მოყვანილი ანალიზი თუ სწორია, დემურიას შეუძლია სთქვას: „რედაქცია“ მე ვარო. მაგრამ ვინ უსაყვედურა ბ-ნ დემურიას, ვინ დასწამა „ღალატი“? პირიქით, მან არა თუ არ „უღალატია“, მან განამტკიცა თვისი (ე. ი. პალმის) „ტრადიციები“ და ძალიან გამოჭახრაკავებული იურისტიც ვერ დაუმტკიცებს მას ღალატს. ან რომელი პრესსის წარმომადგენელი იქნება ისეთი უგონო და თავმოყვარეობას მოკლებული, რომ დემურიას სამართალში გაჰყვეს?! თვითონ პალმთან რომ არავინ კადრულობს სამართალში გასვლას, მისი მოწაფე მეტის ღირსია?

ვ. ბერეჟიანი თავის წერილში აღიარებს: „აქ ქართველებს ორი ადგილი აქვთ—ქალაქის საბჭო და რედაქციაო“... შეიძლება ვკითხოთ ჩამოთვლილთა გარდა სხვა ვინღა შეადგენს „რედაქციის“ ჯგუფს, რომელიც ასეთის ზარითა და ზეიმით გამოვიდა და სასამართლოში გამოიწვია ბათუმ-ტფილისი? „დადგენილება გაზეთებში უნდა გამოცხადდესო“... ჰოი, უმანკოებავ! ნუ თუ დარწმუნებული არ იყავით, როდესაც ამ სიტყვებს სწერდით, რომ თქვენი სამსჯავრო აბსურდი იყო და ვერაფერ „დადგენილებას“ ვერ გამოიტანდა?! ნუ თვალთმაქცობთ! ამ წერილით თქვენ გსურდათ ყალბი საბუთი შეგექმნათ, რომ შემდეგში გეთქვათ, სამართალში არ გამოვიდნენო, თორემ თქვენ კარგათ იცით, რომ თქვენს გამოწვევას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყვებოდა. კმარა, მაგისთანა ლათაიებით ვიღარავის მოატყუებთ. H.

*) რედაქცია ბრძანებს „ზოგიერთიო“! ქურული, გამყრელიძე, ანდრონიკაშვილი, პუხჰალტერი დეკანოზოვი, გაზეთის სიტყვით, დაუყოვნებლივ უნდა გადადგნენ სამსახურიდან და ადგილი დაუთმონ სხვებს. ამგვარად მთელ თვით-მმართველობაში უფროს მოსამსახურეთა შორის რაღაც განგების ძალით ხელ-უხლებელი დადარჩა მხოლოდ გამგეობის მდივანი ი. მეხსი... ვულოცავთ მდივანს!..

**) ჩემ კორესპონდენციაზე „ხმა ბათუმიდან“ „ბატ. იზვ.“-ი ისეთი ტიპიური მავრაზმულ მეწინავეთი გამცა პასუხი, რომ საჭიროდ მიმაჩნია მას ცალკე წერილი ვუძღვნა. დღეს კი ნიმუშად მოვიყვან მხოლოდ ერთ აბზაცს: „Управа тщательно избѣгаетъ пріема на городскую службу грузинъ мусульманъ. Послѣднихъ на городской службѣ нѣтъ совершенно“. („Б. И.“ N 54). ვინც აქაურ საქმეებში ჩახედულია, ის ადვილად მიჰხვდება, რა მნიშვნელობავა აქვს ამ სიტყვებს, მართლა რომ ყოველთვის უნდა ელოდე ახალ-ახალ ხიხინებს: quand il n,ya plus il y ena encore. მქონდა თუ არა საბუთი რეცესაც ვწერდი: „თქვენს ლიტერატურას დღევანდელ ადგილობრივ პირობებში ნამდვილი პროვოკაციის ხასიათი უდის“-მეთქი? H.

## ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **მამულების ყიდვა.** გაზეთებში გახშირებულმა ამბებმა აღმოსავლეთ საქართველოში და შავი ზღვის პირად მემამულეების მიერ ადგილების გაყიდვის შესახებ ბევრი უმიწაწყლო ჩვენებური გლეხი დააფაცურა: ფიქრობენ ადგილების ყიდვას. ბევრგან სცდილობენ შეადგინონ ამხანაგობები და გაჰგზავნონ წარმომადგენელნი მამულების მოსაძებნად. ამ დღეებში რაჭიდან ჩამოვიდა სამი გლეხი იმ აზრით, რომ სადმე გამოსძებნონ ადგილები. რაჭველი გლეხები პირდაპირ კახეთისაკენ წავიდნენ.

✦ **მეურნეთა კრება.** დღეს, 15 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში, ბარიატინსკის ქუჩაზე, დაიწყება ამიერ-კავკასიის მეურნეთა კრება. განსახილველად დამზადებულია მრავალი მოხსენება მეურნეობის ამა თუ იმ დარგის შესახებ. კრება დაიყოფება სექციებად. ჯერჯერობით მოხსენებანი წარადგინეს: წვრილ კრედიტსა და ს. მეურნეო კოოპერაციების სექციაში: ა. ფირალოვმა—წვრილ საკრედიტო და წესებულებათა მდგომარეობა“; ვ. ტოტომიანცმა—„კოოპერაციები“; ს. რ. ვახვახიშვილმა—„საზოგადო სარდაფების ორგანიზაცია“; გ. კანჩელმა—„გლეხთა სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაცია და ერობის შემოღება კავკასიაში“. სასწავლო მინდვრებისა და სამეურნეო განათლების სექციას მოხსენებანი წარუდგინეს. ს. ნ. ტიმოფეევმა—სამეურნეო განათლება და მისი გამაუმჯობესებელი საშუალებანი“; ი. კაპანაძემ—„სამეურნეო განათლების გავრცელების საქმეში სახალხო სკოლების მონაწილეობა და ამ საქმის ქუთაისის გუბერნიაში სასურველად მოწყობა“; ა. პავლოვმა—ესევე საკითხ; ტიმოფეევმა—„სამეურნეო საცდელ მინდვრების ორგანიზაცია რუსეთსა და კავკასიაში“; პავლოვმა—„საცდელ მინდვრების ორგანიზაცია შავის ზღვის პირის გუბერნიისა, თერგის ოლქსა და შავის ზღვის პირის სხვა ადგილებში“; ვ. მეძიხოვსკიმ—„ბოსტნეულობის კულტურის ცდა ერევნის გუბერნიის მაღლობ ადგილებში“ და ა. ათანასიანცმა—„კერძო მესაკუთრე მეურნეს როლი ჩვენს ქვეყნის მეურნეობის გაუმჯობესობის საქმეში“. მევენახეობის სექციაში მოხსენება წარადგინა პილენკომ, იგი ეხებ მეღვინეობას ანაპის რაიონში. მერძეობისა და პირუტყვის მოვლა-მოშენების სექციაში მოხსენებანი წარადგინეს ბ-ნ ლანგმა, ლ. ზარაფიანმა, გ. შადინოვმა და ა. ზ. თამამშევმა.

✦ **სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის კრება.** დღეს, 15 ნოემბერს, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში (ფრეილინის ქუჩა), დილის 11 საათისთვის დანიშნულია „სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის“ წევრთა კრება. კრების განსახილველი საგნებია: წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა, გამგეობის წევრთა დამატებით არჩევნები, ახალ წევრთა მიღება, წრის მოქმედება და მისი დამოკიდებულება სახალხო უნივერსიტეტის გამგეობასთან.

✦ **სამართალში მიცემა.** გორიდან გვატყობინებენ: როგორც იცით, 13 მაისს 1907 წელს გორში მოჰკლეს შეძლებული მოქალაქე სულხან ლამბაროვი, აპეკუნად დანიშნული იყო იოსებ გულიშამბაროვი. მას, როგორც ეხლა გამოირკვა, გაუფლანგავს და მიუთვისებია 1701 მან. 87 კ. ამის გამო გულიშამბაროვი აპეკუნობიდან გადააყენეს და სამართალში მისცეს გამოძიება უკვე დაიწყო.

✦ **„საქართველოს მოამბე“** დღეს გამოვა მესამე ნომერი ჟურნალ „საქართველოს მოამბის“-ი შემდეგის შინაარსით: „საქველმოქმედო საზოგადოებაა“, ლ—ისა; „ჩემი მელოდია“, ლექსი ი. გრიშაშვილისა; „ჩვენი თეატრის ბედ-იღბალი“ ვ. ლამბაშიძისა; „ქართული ენა ქართულ თეატრში“ ალისა; „მიონა“, ლექსი შანშიაშვილისა; ლექსი ამირეჯიბისა; „სანდრო ქართველიშვილის სამუშაო დღე“, სვ. ყ—ნია; „სიყვარულის ფილოსოფია (შელლი)“, თ.—ბებიაშვილისა; „სად არის ჭეშმარიტება“!.. ლ. მეტრეველისა; „საფრანგეთის ეროვნული სიმდიდრე“, პოლდუმერისა; ჩვენი პრესა; „ქართულ სამართლის ისტორია“, ივ. ჯავახიშვილისა და ნარევი.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** როგორც აღვნიშნეთ, ტფ. ქალაქის საბჭოს ხვალ, 16 ნოემბერს, განსახილველად წარედგინება 1910 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. აღრიცხვა ერთ დიდ ტომად არის გამოცემული და ხმოსნებმა რომ თითოეულს მუხლს აღრიცხვისას ანგარიში გაუწიონ, საჭირო იყო დაბეჭდილი პროექტი წინდაწინვე დაეგზავნათ პროექტი კი ხმოსნებისთვის ჯერაც არ დაურიგებიათ. გარდა ამისა, საბჭოს საფინანსო კომისიას დღემდე ერთი სხდომაც არ ჰქონია, რომ თავისი აზრი შეედგინა აღრიცხვის შესახებ. დღესვე უნდა მოხდეს არჩევანი ქალაქის მდივნისა. ეხლანდელი მდივანი ბ-ნი ჯაბარი, როგორც ვიცით, საბჭომ ერთის წლით აირჩია. გაზეთებში აღნიშნული ამბავი, ვითომ მდივნის თანამდებობაზე ყურს იდგამდეს ქალაქის გამგეობის მდივანი სტ. დანდუროვი, მართალი არ გამოდგა. ხმოსნებს თათბირი არა ჰქონიათ ამ საკითხის შესახებ და გარდა ჯაბარისა კანდიდატად, სხვა არავინ არ არის დასახელებული.

✦ **ახალი შეწირულება ზუბალაშვილებისა.** როგორც „ნ. რ.“-ს გაუგია, ძმანი ზუბალაშვილნი, რომელთაც სახალხო სახლი ააგეს, ქალაქ ტფილისს 40.000 მანეთს კიდევ სწირავენ. ამ ფულით სახალხო სახლის გვერდით უნდა შეიძინონ გოლუბევის სახლი, სადაც მოაწყობენ საზაფხულო თეატრს და ბინებს სახალხო სახლის მოსამსახურეთათვის.

✦ **„ნაკადული.“** გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ წიგნები (ნოემბრისა): № 21 (მცირე წლოვანთათვის) და № 11 (მოზრდილთათვის). ამ ნომრებში მოთავსებულია ნაწარმოებნი ვაჟა-ფშაველასი, შ. მღვიმელისა, ევდოშვილისა, ცქვიტისა და სხვა.

✦ **ექსკურსია.** ქუთაისიდან დღეს, 15 ნოემბერს, ტფილისში საექსკურსიოდ მოდიან იქაურ რეალურ სასწავლებლისა და გიმნაზიის უფროს კლასების მოსწავლენი.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა“, თხზულება ა. ბოგდანოვისა, თარგმანი ი. ცდობილისა. წიგნი გამოცემულია ამხ. „ალიონის“ მიერ. გამოცემა ძალიან კარგია და ბოლოში უცხო სიტყვათა განმარტებაც აქვს ჩართული. წიგნი დიდი ტანისაა. ამ წიგნზე ხელის-მოწერა იყო გამოცხადებული.

✦ 14 ნოემბერს, ღამის 3 საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის-გზის დეპოში კაჩეგარი კოზლიტინი ათვალიერებდა მაზუთის ქვაბს. ქვაბი გასკდა და ნატეხებმა კოზლიტინი იქვე მოუკლავს.

✦ 13-14 ნოემბრის განმავლობაში შემდეგი ამბები მოხდა ტფილისში: კიროჩნი ქუჩაზე გიმნაზიის დირექტორის ჭერივის მარტინოვისთვის მოუპარავთ 460 წიგნი. ეჭვით დააპატიმრეს ანდრია ჯარბელაშვილი. დააპატიმრეს ნიკოლოზ ნაცვლიშვილი, რომელიც საგენ.-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა და ბასოშვილის პასპორტით სცხოვრობდა თურმე. მატინიანცის ქაღალდ-წიგნების მაღაზიიდან 250 მანეთის ნივთები მოუპარავთ. ეჭვით დაუპატიმრებიათ ნიკოლოზ ცხვედაძე.

## რედაქტორის დასჯა

(წერილი ყვირილიდან)

„დროების“ მკითხველებმა უკვე იციან, რა დღე დააყენეს ყვირილაში „მწყემსის“ რედაქტორს დეკანოზს დავით ღამბაშიძეს. მთელი ამ ამბავის სარჩული შემდეგია.

ყვირილის ახლო-მახლო სოფლები, არსებულ წესების ძალით, უთვალავ გადასახადს ადგილობრივ იხდიდნენ და თავიანთ მამასახლისს აძლევდნენ. ახალმა მაზრის უფროსმა ელხოვსკიმ ამ ძველ გადასახადებს ახალი მოუმატა: ხარჯი დაბა ზესტაფონის განათებისა, გაწმენდისა და ქუჩების გასუფთავებისათვის და 7 დარაჯის შენახვისათვის. პოლიცია ახდევინებდა ფულს მცხოვრებთ ყველა ამისათვის და შემდეგ თვითონ ურიგდებოდა მოიჯარადრეებს, ასე რომ მცხოვრებლებმა არც-კი იციან, რამდენი იხარჯებოდა გადასახადიდან ყველა ხსენებულ საჭიროებისათვის. მცხოვრებლებმა მიმართეს თხოვნით ქუთაისის გენ.-გუბერნატორს, რათა განეთავისუფლებინა ისინი ამ გადასახადებისაგან. გენ.-გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა მაკაროვმა სამართლიანად სცნო მცხოვრებთა თხოვნა და გააუქმა უკანონო გადასახადი, რომელიც უნდა ეკისრნათ მხოლოდ დაბა ზესტაფონის მცხოვრებთ და არა სოფლელთ. 7 „სტრაჟნიკის“ რჩენა ვალად იდვა ამ დაბის ვაჭრებმა კერძო განაჩენის ძალით.

მაკაროვის დადგენილება მაზრის უფროსმა ელხოვსკიმ არ აასრულა და უცდიდა თვითონ გუბერნატორის ჩამოსვლას. მაზრის უფროსმა მოიწვია ერილობა დაბა ზესტაფონის მცხოვრებთა, ვაჭართა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთა. არ გამოუცხადა ერილობას გუბერნატორის მოადგილის მაკაროვის განკარგულება უკანონო გადასახადების გაუქმების შესახებ. არამედ დაავალა შეედგინათ განაჩენი და ეკისრნათ 1600 მან. გადასახადი დ. ზესტაფონის განათება-გასუფთავებისათვის და მეტად გარეშე სტრაჟნიკების შენახვისათვის. თავ-მოყრილი ხალხი არ მიჰყვა მაზრის უფროსის სურვილს და ხელ-მეორედ მიმართა გუბერნატორს —განეთავისუფლებინა ისინი ამ გადასახადისაგან. ხალხი ამტკიცებდა, საჭირო არ არის კერძო სტრაჟნიკების რჩენა ბოქაულის დასაცველად, რადგან დამცველთა რიცხვი უკვე საკმაოა: ორი როტა ჯარის ნაწილისა, 100 ყაზახი და 25 შტატში მყოფი სტრაჟნიკი. რაც შეეხება საჭიროებისა და მაღაზიების დაცვას, ეს ეხება მხოლოდ ვაჭრებს და იგისრონ და არა მცხოვრებლებმაო.

ყველა ამის შემდეგ მაზრის უფროსმა რამდენჯერმე შეკრიბა ხალხი. აჯავრებდა, ხელი მოეწერათ განაჩენზე, მაგრამ ხალხი უარზე იდგა. უთანხმოების უმთავრეს მიზეზად მაზრის უფროსი სთვლიდა „შეამბოხეებს“ და მთავარ შეამბოხედ ასახელებდა მოხუც და დამსახურებულ დეკანოზს დ. ღამბაშიძეს, რომელიც უკვე 26 წელიწადია, რედაქტორ-გამომცემელია სასულიერო ჟურნალის „მწყემსისა“. დეკანოზი გაბედულად ჰბეჭდავდა თავის ჟურნალში ადგილობრივ ადმინისტრაციის მოქმედების ამბავს და, რასაკვირველია, მისი ამგვარი მოღვაწეობა არაფრად ესიამოვნებოდა ხსენებული ადმინისტრაციის, რომლის მეთაურმა დააბეზღა მამა დეკანოზი ქუთაისის გუბერნატორთან, როგორც ხალხის ამრევი „ბუნტოვშიკი“.

ამას წინად დაბა საჩხერესკენ მიმავალმა გუბერნატორმა გაიარა ზესტაფონში, დაიბარა დეკანოზი ღამბაშიძე, დაუწყო, როგორც გაზ. „ზაკ.“-ც გადმოგვცემს ყვირილი („შეურაცხყოფით“ ელაპარაკებოდა) იმის გამო, რომ დეკანოზმა 1/2 საათი დააგვიანა და დროზე ვერ გამოცხადდა. დაგვიანების მიზეზი კი ის იყო, რომ მ. ღამბაშიძე ეკლესიაში მწირველი იყო. „სტყუი, სტყუ“! უყვიროდა გუბერნატორი მაგიდაზე მუშტის ცემით: „ეკლესიაში კი არა, ბაზარში იყავი და ხალხს აჯანყებდი პოლიციის წინააღმდეგ. შენ აჯანყებ ხალხსა და სასულიეროებს და ეკლესიაში მთავრობის წინააღმდეგობას ქადაგებ! „შემდეგ გუბერნატორმა მოიხსენია“ მწყემსში „დაბეჭდილი წერილები დეკანოზის ღამბაშიძისა და გამოუცხადა, რომ აჯარიმებს 500 მანეთით, თანაც დასძინა, ეს ფული დაუყოვნებლივ უნდა შემოიტანო, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი შენი ქონება საჯაროდ გაიყიდებაო. დეკანოზმა უპასუხა, რომ ფული არა აქვს. მაშინ გუბერნატორმა ბრძანება გასცა სამი დღის განმავლობაში ბაზარში გაეტანათ და გაეყიდნათ მთელი იმისი ქონება.

ბოქაულმა ასწერა ეს ქონება უკანასკნელ ლოგინამდე, ასწერა სადვთო რჯულის სახელმძღვანელოები და სასულიერო შინაარსის წიგნები, სულ 40 ათასი ცალი. ყველა ეს ბაზარში გაიტანეს ურმებით და გაჰყიდეს გასახვევ ქაღალდად, თითო მანეთად ფუთი. დეკანოზმა გამოუცხადა გუბერნატორს, რომ თანახმაა იქნეს მთელი იმისი ჯამაგირი და იმის სახლში მყოფ მდგმურების ქირა ჯარიმის გადასახდელად. ამის საპასუხოდ გუბერნატორმა განკარგულება გასცა დარაჯი მიეჩინათ მ. დეკანოზისათვის, რომელიც უნდა გაჰყოლოდა ეკლესიაში, სასწავლებელში და მრევლში წესების ასრულების დროს, რაიცა დატუსაღებას უდრის.

ამ ამბავმა ადგილობრივ ცუდი ალაპარაკა.

## პატარა ფელეტონი

### ბნელი ძალები

სოფელ სუფსიდან გვწერენ, რომ იქ თაგვებმა დახრეს და გაანადგურეს 1902 წ. მთავრობის მიერ დაკეტილ სამკითხველოს ყველა წიგნი. ღრმა ფიქრთა და გრძნობათა აღმძვრელია ეს საყურადღებო და თან სამწუხარო ამბავი.

წარმოიდგინეთ პაწია, ყურ-ცქვიტა და კუდქიცინა თაგვი, რომელიც თავხედურად დანავარდობს ღრმა აზრით აღსავსე წიგნზე, მაგალითად კაცობრიობის ისტორიის ფურცლებზე. განა ეს პაწია ცხოველი მცირე და ამავე დროს სავსე გამოხატულება არაა იმ ბნელ ძალებისა, რომელნიც დღესაც დანავარდობენ კაცთა შორის და ადამიანის უმაღლეს მისწრაფების ნაყოფს თავიანთ ბასრ კბილებით დახრასა და განადგურებას ემუქრებიან?

რამშია უმთავრესი მსგავსება თავხედ პაწია თაგვების და გალაღებულ ბნელ ძალთა შორის?

ვერც თაგვი და ვერც იმისი მსგავსი ბნელი ძალა ადამიანის ფიქრსა

და გრძნობას, იმის გულსა და გონებას, სადაც თავისუფლების დაუშრეტელი წყარო სჩქეფს, თავის ბასრ კბილებსა და ბრჭყალებს ვერას გზით ვერ ჩასჭიდებს, ადამიანის ფიქრი და გრძნობა-უზენაესი სულიერი სამფლობელოა; ბნელეთის თავვი კი მხოლოდ ნივთიერებას, პირობით შესხმულ საგანს ეტანება, იმასა ხრავს და ანადგურებს.

სუფსის სამკითხველოში მონავარდე რეაქციის თავვი კაცობრიობის ისტორიის ფურცლებს ხარბად ჰხრავს და ჰყლაპავს და ბნელეთის ძალებსავით დარწმუნებულია, რომ ამნაირად იგი თვით კაცობრიობის ისტორიას ბოლოს მოუღებს. რა იცის ბაწია თავვმა და ბნელეთის ძალამ, რომ ნაბეჭდი სიტყვა მხოლოდ გარეგანი გამოხატულება, სახე, აჩრდილია იმ მაღალს მისწრაფებისა, რომელიც ადამიანის სულსა და გულში ღრმად და საუკუნოდ არის აღბეჭდილი. ბნელეთის თავვი ხარბად ხრავს თეთრ ქაღალდზე შავ ასოებით დაბეჭდილ სიტყვას „თავისუფლებას". ბრმა, უსინათლო ძალას ჰგონია, რომ ამნაირად იგი თვით ამ თავისუფლებას სპობს და ანადგურებს.

**ი. ნაკაშიძე**

# თეატრი და ხელოვნება

**გაბუნია-ცაგარლის იუბილეი.** გუბერნატორმა ნება დართო დრამატიულ საზოგადოებას, გამართოს 28 ნოემბერს დამსახურებულ არტისტის ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი. დილით, 12 საათზე, დაიწყება დღესასწაული—მილოცვა, ადრესები და სხვა. საღამოზე გაიმართება წარმოდგენა.

—

**არტისტ-ქალის მელიქიანის იუბილეი.** მომავალ წლის 1-ლ იანვარში სრულდება 25 წელიწადი, რაც მსახიობი ვ. გ. მელიქიანი სომხურ სცენაზე მოღვაწეობს, ქ-ნი მელიქიანი რამდენიმე წელიწადი ქართულ სცენაზე ქართულ დასში თამაშობდა. სომხურ დრამატიულ საზოგადოებას განუზრახავს იუბილეის გამართვა.

—

**ახალი პიესა ქართულ თეატრში.** დღეს საღამოთი ქართულ თეატრში დრამატიული დასი დასდგამს ახალ ორიგინალურ პიესას „პარტიის კაცი?!" დრამას ოთხ მოქმედებას პ. გოთუასი. ამ პიესაში მთელი დასი იღებს მონაწილეობას.

—

**სიღნაღი.** გვიან, მაგრამ მაინც გატყობინებთ, რომ 27 ოქტომბერს სიღნაღში ადგილობრივ საკრებულოში ქართველმა საზოგადოებამ გამართა ილიას საღამო. ექ. ტურიაშვილმა წაიკითხა რეფერატი ილიას შესახებ. შემდეგ წაიკითხეს რამდენიმე მისი ლექსი. ითამაშეს „დედა და შვილი" და „ბიძიასთან გამოხუმრება" რაფ. ერისთვისა. ხალხი ბლომად დაესწრო და უადგილობისა გამო ბევრი შინ დაბრუნდა. წმინდა შემოსავალი 110 მან. დარჩა.

# სასამართლო

**პოლიციის უფროსი სამართალში.**

13 ნოემბერს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოსთან არსებულ მაძიებელ განყოფილების ყოფილ გამგის ვ. ი. მაჩინსკისა, რომელსაც ბრალდებოდა სამსახურის დროს ბოროტმოქმედება.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებული მაჩინსკი და მიუსაჯა სამსახურიდან დათხოვა.

**ყუმბარები.**

მიმდინარე წლის 3 აგ . . . . . . .

ფერშლო სასწავლებლის ყოფილ მოწაფის ახალქალაქელ ვ დიდოსიანცისა და დონის ოლქის მცხოვრებ გლეხის პავლე ქარკოვისა: მათ ჰბრალდებოდათ ყუმბარებისა და სხვა ასაფეთქებელ ნივთიერების შენახვა. ოლქის სასამართლომ თავისდროზე ვართან [?] დიდოსიანცს მიუსაჯა ოთხი წლის კატორღა, ხოლო პ. ქარკოვი გაამართლა.

ბრალმდებელს ეს განაჩენი პალატაში განუსაჩივრებია. პალატამ ეს საქმე 13 ნოემბერს გაარჩია და ქარკოვის შესახებ განაჩენი დამტკიცა, ხოლო დიდოსიაც 4 წლის კატორღა ორი წლისა და 8 თვის კატორღაზე შეიცვალა.

**პავლე აკობიას საქმე.**

ქუთაისში ტფ. სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე პავლე აკობიასი, რომელსაც განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდებოდა. პალატას აკობიასათვის გადაუწყვეტია საუკუნოდ გადასახლება.

# 23 ოქტომბრის

**წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.**

ნავაჭრის წილი შემოსწირეს:

25) სოლომ. გერშოვმა—10 მან. 26) ივანე კვიკვაძემ—1 მან. 27) ვასილი შოთაძემ—1 მან, 28) ივანე პავლიაშვილმა—1 მან. 29) სიმონ მჭედლიძემ და ზაქ. შარაბიძემ—3 მან. 30) ალექსი ჯანაზოვმა—10 კ. 31) დავ. შუშაშიშვილმა—50 კ. 32) სანდრო მეგრელიშვილმა—1 მ. 33) აბრამ ცქიმანაურმა—50 კ. 34) არჩ. შვედოვმა—1 მან. 35) გიორგი მამულაშვილმა—1 მან. 36) დ. ვ. დადაშვილმა—1 მან. 50 კ. 37) არსენ კოტრიკაძისაგან—1 მან. 50 კ. 38) ნიკა ხუროშვილისაგან—50 კ. 39) ამირბეგოვისა და ამხ.—3 მან. 40) იოსებ გიორგობიანისაგან—20 კ. 41) ვლადიმერ ვაშაძისაგან—50 კ. 42) გიორგი ბუხრაშვილისაგან—50 კ. 43) ონის ქარცივაძემ—20 კ. 44) პავლე ბაქრაძემ—2 მან. 45) ზაქარია თოიძემ—5 მან. 46) მის. ჩიქოვანმა—1 მან. 47) სედრაკ კოტინოვმა—1 მან. 40 კ. 48) ანტონ შევარდენოვმა—50 კ. 49) ოჭჯანოვმა და გასპაროვმა—1 მან. 50) იოსებ თურქიამ—1 მან. 51) სამსონ გიორგაძემ—1 მან. და 50 კ. 52) ვასილი ჩაჩიბაიამ—2 მან. 53) ლევან გვასალიამ—1 მან. 54) ილიკო ლებანიძემ—30 კ. 55) ნიკო ჭრელაშვილმა—3 მან. 56) პავლე ფაფაზაშვილმა—1 მან. 50 კ. 57) სიმონ გვასალიამ—1 მან. 58) სარქის მურადოვმა—50 კ. 59) გიორგი მესხიშვილმა—1 მან. 60) მალაქია გუდავაძემ—1 მან. 50 კ. 61) გრიგოლი ლომთაძემ—1 მან. 62) დავით როსტიაშვილმა—50 კ. 63) დათ. ბიბილაშვილმა—1 მან. 64) სანდრო გოგიაშვილმა—50 კ.

# შესაწყნარებელია თუ არა?

წერილი რედ. მიმართ *)

ჭეშმარიტად ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული ჩვენი მოკამათე ბ-ნი მეგობარი!.. „ბედი მომეც და სანაგვეზე გადამაგდეო", —რომ იტყვიან სწორედ იმაზეა ზედგამოჭრილი. მას ისეთი კარგი „მეგობარი" გასჩენია „მომავალის" რედაქციაში რედაქციის ფაქტიურ ხელმძღვანელის სახით, რომ უკეთესი აღარ შეიძლება. ჩვენთვის მკაცრი, გულქვა და უსამართლო დედი-ნაცვალი—მეგობრისათვის მეტის-მეტად გულჩვილი, ლმობიერი, მოსიყვარულე და წინდახედული დედაა. აი მაგალითებიც.

ბ-ნთ იკა-მეგობრისაგან სამ-გზ. და ოთხ-გზის გამოწვევის შემდეგ: „სვირელო, გამობრძანდი, თუ ვაჟკაცი ხარო", —პასუხი დავწერე და „მომავალის" რედაქციის გამგეს კატეგორიულად (სხვების თანდასწრებით) შემდეგი მოვახსენე: „ამ წერილიდან ერთი სიტყვის ამოშლასაც არ დავთანხმდები. ან უნაკლოდ დაიბეჭდოს, ან სულ არა". დიდის ყოყმან ვაჭრობისა და სხვის შეკითხვის შემდეგ ბ-ნი გამგე დამეთანხმა. ორშაბათს კიდევ შევეკითხე, —ჩემი წერილის ხვალინდელი გაგრძელება ხომ წაკითხული გაქვთ და ხომ არ ფერი ამოგიშლიათ-მეთქი? „არაო", მიპასუხა და მართლაც ორიგინალში ამოშლილი არაფერი იყო.

მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც სამშაბათს კორექტურის კითხვის დრო შევნიშნე, რომ ბ-ნ გამგეს წერილიდან მეგობრისთვის უხერხული ადგილები ამოეშალა!.. ვსთხოვე მეტრანპაჟს, თუ შესაძლო იყო, არ დაებეჭდა წერილი. მაგრამ სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი გამოდგა, რადგანაც მასალა დააკლდებოდათ და გაზეთი ველარ გამოვიდოდა. ამოშლილის აწყობა-დაბეჭდვაზე ურედაქტოროდ ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იქნებოდა. რედაქტორი კი რედაქციიდან გასულიყო. მაშინ ბ-ნმა კორექტორმა გულმტკივნეულად მანუგეშა: — უთხარით გამგეს და ხვალ ცალკე დაგიბეჭდავთო...

მაგრამ სამაგიეროდ მ. ს. ტოროშელიძის წერილიდან დაბეჭდა სწორედ ის ადგილი, რომელიც ტ—ძეს ამოშლილი ჰქონდა. და ამნაირად, ბატონებო, ჩემი წერილიდან მეგობრისათვის „უხერხული" (Неудобныя) ადგილები ამოშალა სამაგიეროდ ბ-ნ ტ—ძის წერილიდან მეგობრისათვის „უდობნი", მაგრამ ბ-ნ ტ—ძისაგან ამოშლილი ადგილები დაბეჭდა. ჩვენ დაბეჭდას ვეხვეწებით, მაგრამ არ გვიბეჭდავს. ტ—ძე, პირიქით, „არ დაბეჭდას" ეუბნება, მაგრამ ის მაინც ბეჭდავს. და ამავე დროს ბ-ნ მეგობარს საშუალება ეძლევა მოწინააღმდეგეთა წერილები ხელთნაწერშივე იკითხოს და, როგორც უნდა და როცა უნდა ისეთი პასუხი დაბეჭდოს. საინტერესოა ვიცოდეთ, რითი დაიმსახურა ბ-ნმა გამგისაგან მეგობარმა ასეთი გულ-ასაჩუყებელი მფარველობა?.. რას იტყვით, მკითხველო!... Не правда-ли—всѣ средства хороши?!.

*) ეს წერილი „მომავალის" რედაქციას მივუტანე დასაბეჭდათ, მაგრამ არ დაბეჭდა. ესეც ახალი დამამტკიცებელი საბუთი ჩვენ წერილში მოყვანილი უსამართლობის დასამტკიცებლად.

მივმართავ „მომავალის" რედაქციის კოლეგიას და თავმდაბლათ ვთხოვ შემდეგ კითხვაზე გვიპასუხოს: შესაწყნარებელია თუ არა ბ-ნ რედაქციის გამგის ზემოთმოყვანილი საქციელი?

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ორიოდე სიტყვით პასუხი გავსცე ბ. მეგობარს. „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და ის კი ცხვრებისკენ მიიწევდაო", რომ იტყვიან სწორედ ასე მოსდის ბ. მეგობარს. ვეუბნები, — ბ-ნო ჩემო, არაა კარგი ლანძღვა, ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი შეისწავლე მეთქი, — ის კი უარესს ჩადის. უფრო მაგრა ილანძღება. ჩვეულება სჯულთ უმტკიცესიაო, ნათქვამია. ალბათ ლანძღვა - ეს მისი სტიქიონია, მისი არსებაა, თან დაყოლილი და თანშეზრდილი ორგანიული თვისებაა, მისი ტალანტია. თუ ასეა, ჩვენც გვიპატიებია მეგობრისათვის და ამის შესახებ აღარას ვიტყვით.

აღარას ვიტყვით ამასთანავე იმ ორგროშიან დემაგოგიურ განგაშზე, რომელიც გამოიხატება სიტყვებში: მუშები, მუშებმა, მუშებს, მუშებო და სხვა. ამგვარ ჰანგების ფასი მუშებმა კარგად იციან. არას ვიტყვი „უნტერ-ოფიცრის" ცოლის საარაკო საქციელზე, რომლის როლსაც ს უცხოვოთ ასრულებს ბ-ნი მეგობარი და თვით მეგობრის მეგობარიც. არც ტრედ-უნიონებზე, რომლებზედაც მე და ბ-ნ მეგობარს ძლიერ ზერელე წარმოდგენა გვაქვს. ვიტყვი მხოლოდ „სვირელის ინტელექტუალურ ძალაზე".

მე არასოდეს არ ვყოფილვარ თქვენსავით გაზვიადებულ წარმოდგენისა საკუთარ ძალ-ღონეზე. ჩვეულებად არა მაქვს თავის ქება. მაგრამ რატომ არსებითად არ იძლევით პასუხს? რა ჩვეულება დაგჩემოდათ თქვენცა და ბ-ნ იკასაც, —საქმეს რქით მიჩქმალავთ და ჩემს პიროვნებაზე იწყებთ წერას? ვისთვის რა საინტერესოა ეს „შენ-ჩემობა", თორემ, ღმერთო ხო შენ იცი, არც მეგობარი იკათურთ წარმოადგენენ დიდ ინტელექტუარულ და ლიტერატორულ განძს, მაგრამ, დახეთ ბედმა ერთსაც და მეორესაც გაზეთის თანამშრომლობა არგუნათ. სჩანს, ბედაურები დახოცილან. ეჰ, სად ხარ, თუ ქრისტესი არა, ნოეს შოლტო მაინც! მაგრამ მე ხომ ამაზე არას ვამბობდი. ეს პირადული კინკლაობა იქნებოდა და საქმის ასეთ დაკნინებაში ჩვენ ბ-ნ მეგობარს ამხანაგობას ვერ გაუწევთ...

ჩვენ „მეგობრის" ჩადრში გახვევს გვიკიჟინებს, თვითონ კი „სვირელის" ჩადრშია გახვეულიო", —გვამხილებს ბ ნი მეგობარი. ეს კი მეტის-მეტია. მიზეზი ამისა კარგად უნდა იცოდეთ, ბ-ნო მეგობარო და თქვენი საქციელი რიგიანი არაა, მეტი რამ არა ვთქვათ. მაგრამ სვირელს ხომ კარგად იცნობენ ყველა ის პირნი, რომელთაც თეატრთან რაიმე დამოკიდებულება აქვთ და ის ხალხი, რომელიც ათასობით დაიარება თეატრში. მაშ ჩემი ნიღაბის ახდა არც ისე საჭიროა, თქვენი კი ურიგო არ იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ჩემი თხოვნაა: ჩადრით იქნებით თუ უჩადროთ, პირადობასა და ლანძღვას თავი დაანებეთ „ბ-ნი სვირელი სასამართლოს გაურბისო", გაიძახით. მე სასამართლოს არასოდეს არ ავექცევი. სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინება, მაგრამ მე გაურბი უფაქიზობას. თქვენ კი თქვენის პასუხით დაამტკიცეთ, რომ მხოლოდ უფაქიზობაში ჰპოვებთ შვება-ლხენას და ამისთანა პიროვნებასთან სამართალი, სწორე გითხრათ, მეთაკილება.

ეხლა კი მესმის, ბ-ნმა ტოროშელიძემ რათ **დასწერა—წაშალა** უხერხული ფრაზა ცრუ-მოწმეების შესახებ, ალბათ იცოდა ვისთანაც ჰქონდა საქმე.

**სვ. სვირელი.**

P. S. ეს წერილი დაწერილი გვქონდა, როდესაც დაიბეჭდა ბ-ნ იკას წერილი რედაქციის შენიშვნით: საკითხი გამოირკვა და ამის შესახებ კამათსა ვსპობთო. სჩანს, რედაქციის ხელმძღვანელისთვის იკას ლანძღვა და საზოგადოთ ყოველგვარი და ყველას ლანძღვა საგნის გამორკვევაა!..

ხოლო რაც შეეხება ამ ახალ მოდის მწერალს ბ-ნ იკას—იმისი წერილი ისეთი კილოთია დაწერილი, რომ გაზეთით გამოპასუხება შეუძლებლად თავის-დამცირებად მიმაჩნია.

# უცხოეთი

**ბელგიელები კონგოში.**

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი კმაყოფილი არა ბელგიის მთავრობის დაპირებებით. ბელგიელები პირდებიან რეფორმებს მოვახდენთ კონგოში, ძველ გზას უკუ-ვაგდებთო და ჯერაც არსად სჩანს ეს რეფორმებიო. ინგლისის ერთ ქალაქში დიდი მიტინგი გაიმართა, დაესწრო ათი ათასი თავჯდომარედ ეპისკოპოსი იყო. სხვათა შორის ორმოცი პალატის დეპუტატიც დაესწრო. ორატორები ერთი შორეს სცვლიდნენ და ცხარედ ლაპარ კობდნენ; თხოულობდნენ დაუყოვნებლივ მოისპოს ისეთი შეუბრალებელი ძლევა კონგის ადგილობრივ მცხოვრებთა, როგორც დღეს არის, ცხარე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ ბელგიის მთავრობის მიერ განზრახულ რეფორმებს: თუ ბელგიამ კიდევ გააჭიანურა საქმე და რეფორმე არ შემოიღო კონგოში წარუხოცელ სირცხვილს დაღს დაისვამსო.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი მისცეთ ჩვენს განჩინებას, რომლის დაბეჭდვასაც „დროების" მე-228 ნომერში თხოულობდა მღვ. მ. კონდრატი ნინიკაშვილი.

**განჩინება**

1909 წელს 19 თიბათვეს, ჩვენ ქვემორე ხელის მომწერთ, ამორჩეულთ მამა კონდრატი ნინიკაშვილისა და დიმიტრი დეკანოზიშვილის მიერ მომხდარ უსიამოვნების გასარჩევად, იმ უსიამოვნებისა, რომელიც მოუხდათ ამათ თელავის სამღვდელოების დეპუტატთა კრების დროს, განვიხილეთ ყურადღებით ეს საქმე მათივე ჩვენების მიხედულობით და დამნაშავედ გსცანით მამა დიმიტრი დეკანოზიშვილი და ამის გამო ვაძლევთ წინადადებას დიმიტრი დეკანოზიშვილს, რათა მან მოიხადოს ბოდიში ჩვენი თანადასწრებით ნინიკაშვილის წინაშე და მით მოუღონ ბოლო ყოველსავე უსიამოვნებას ერთმანეთს შორის ამ საქმის გამო ამ გადაწყვეტილების გაზეთში გამოცხადებაზე უარს ვაცხადებთ.

ეს განაჩენი წაეკითხოს დეპუტატთა კრებას. თავმჯდომარე **ნ. ლუდუშაური.**

მედიატორები: **(ნ. მთვარელიშვილი** **(ნ. მარკოზაშვილი.**


# განცხადებანი

საუცხოვო ახლად მოწყობილი

**სახელოსნო მკერვალ ქალებისა**

ვიკვეთავთ ყოველნაირ ტანისამოსს ქალებისას და ბავშვებისას, ძალიან დაკლებულ ფასებში, სუფთად და საჩქაროდ. ადრესი: ხ ზანის (კაზნაჩეისკის) ქუჩის კუთხეში, სომეხთა სემინარიის პირდაპირ, № 2, სახლი თუმანოვისა—ეკ. იმნაძესთან. (6—527—5)

**ქირურგი ქალთა სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საზეპიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. გ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

ს [illegible]

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საზეპირო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ვ. [illegible]:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—217)

**ყვირილაში**

„სორაპანის" წიგნის მაღაზიაში იყიდება

**აკაკის კრებული**

სრულის წლის კომპლექტი 1 მან. 50 კაპ. ვისაც სურს, შეუძლიან მიმართოს ყვირილაში „სორაპანის" წიგნის მაღაზიას. (5—6.—3)

**ზ ღ ა პ ა რ ე ბ ი**

**ქართლში, კახეთში და ფშავში**

შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი 2 წიგნის 1 მან. 50 კ. საფოსტო იქვე. მისამართი: Тифлисъ. Дворцовая, Общество грамотности. (15—4)

ახლად გახსნილ [illegible] ქ. № 6, [illegible]

**„ამხ.-ბა ლევიტ და მესნიკ"**

[illegible] (12—გე.—8)

კოსმეტიკის და პარფიუმერიის ახალი რამეები

**დუხები ნიცის უკვავილებისა**

[illegible]

**სანელებელი ნიცაში**

იყიდება ყველგან.

[illegible] Москва, Никольская, д. Греческаго Монастыря. (Л. Метцль и К. № 141702) (5—6.—2)

**I მანეთიდან** ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილად **I მანეთიდან**

**ხელის მანქანები 25 მანეთიდან**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში. [illegible] ტფილისში სამი განყოფილება: 1. გოლოვინის პროსპექტზე, [illegible] 2. [illegible] 3. [illegible] (20—გე.—9)

**სანერგე ამერიკულ ვაზისა**

„კლდე გურული" ქუთაისში.

**უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში**

1200 [illegible]

მსურველთ უფასოდ მეზავნებათ განმარტებანი და პრაის-კურანტები. [illegible] (0—6.—4)

**„პროვოდნიკის"**

1897 წ. 1908 წ. 1888

**ამხანაგობა რიგაში**

საწყობი [illegible] ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდად და ცალობით:**

რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,

რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,

რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,

იზოლაციონი და კაბელი კუთვნილებები,

რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,

რეზინის სათამაშოები და ბურთები,

რეზინის საგალანტერეიო საქონელი,

საშლელი რეზინი „სოლოლ" მარკისა